საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პერსპექტიული განვითარების სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი ნაწილი

1.1. პერსპექტიული განვითარების სამსახური წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, ამ დებულების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ემსახურება:

ა). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწესდებო ამოცანებიდან გამომდინარე სტუ-სათვის გადმოცემული უძრავი ქონების მართვის სტრატეგიის განსაზღვრას, საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზაციისათვის პირობების მომზადებას და სამეურნეო, ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის წარმართვას.

ბ). ტექნოპარკებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული სხვა სამეწარმეო სტრუქტურების ფორმირებით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისათვის ხელის შეწყობა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია.

1.2. დებულება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდანორმატიულ დოკუმენტს და განსაზღვრავს პერსპექტიული განვითარების სამსახურის ფუნქციებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. სამსახურის ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

2.1. უნივერსიტეტის სამეურნეო, ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობით მოიძიოს განათლების ფინანსირების დამატებითი წყაროები.

2.2. მონაწილეობა მიიღოს ნორმატიული და ინსტიტუციონალური ბაზის, "ვენჩურული" კაპიტალის, საინოვაციო საქმიანობის მასტიმულირებელი სამართლებრივი სისტემის, სამეწარმეო და საინოვაციო ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინტელექტუალური საკუთრების ბირჟები, ბიზნეს-ინკუბატორები, მცირე საინოვაციო საწარმოები), მეცნიერებასა და წარმოებას შორის აქტიური თანამშრომლობის სხვა ფორმებისადმი ხელის შეწყობის მიზნით.

2.3. მოახდინოს კონკრეტული კლასტერული და ინდუსტრიული საუბნო საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის ორგანიზება, ისეთი ახალი ეკონომიკური სტრუქტურირების შექმნით, როგორებიცაა: საინოვაციო ცენტრები, ტექნოლოგიურ პარკები, საინვესტიციო ფონდები, საცდელი წარმოებები, საკონსტრუქტორო ბიუროებi და სხვა. აღნიშნული განაპირობებს საბაზრო მექანიზმების ამუშავებას ტექნიკურ უნივერსიტეტში, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ტექნიკური მომსახურების სერვისის სფეროში როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის და დამხმარე პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.

2.4. სტუ-ს ეკონომიკის ეფექტური მართვისათვის საკუთარი ინტელექტუალური, მმართველობითი ღირებულებების მქონე ტექნოლოგიის შექმნის უზრუნველყოფა ახალი სტრუქტურების შექმნით, ბიზნეს-ინკუბატორებიდან და ტექნოლოგიური

პარკებიდან დაწყებული და მსხვილი საგანმანათლებლო-ტექნოლოგიური გაერთიანებებით დამთავრებული.

2.5. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებას ან დატვირთვას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის სენატის თანხმობის შემთხვევაში.

2.6. ხელი შეუწყოს ტექნიკური უნივერსიტეტის გადაქცევსა საბაზრო პრინციპებით მოქმედ სასწავლო - სამეცნიერო - საფინანსო - საწარმოო სტრუქტურად, რაც შექმნის აუცილებელ პირობას სტუ-ს დინამიური განვითარებისათვის.

2.7. მცირე და საშუალო მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა სტუ-სათვის მისაღები სქემის რეალიზებით: მეცნიერება-ტექნოლოგიები-ტექნიკური გადაწყვეტა-წარმოება.

2.8. ბიზნესზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო-სამეწარმეო ცენტრების ფორმირების პროცესში ხელი შეუწყოს თანამედროვე სისტემური სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის მოდერნიზაციას.

2.9. ხელი შეუწყოს მონაწილეობა მიიღოს:

ა). ტექნიკური უნივერსიტეტის გარდაქმნაში საბაზრო პრინციპებით მოქმედ სასწავლო - სამეცნიერო - საფინანსო - საწარმოო სტრუქტურად, რაც უზრუნველყოფს სტუ-ს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას და შექმნის აუცილებელ პირობას სტუ-ს დინამიკური განვითარებისათვის.

ბ). ახალი საინოვაციო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბიზნეს-კომპლექსის (კლასტერი) სტრუქტურის "განათლება-მეცნიერება-მრეწველობა", და მის ბაზაზე ბიზნესზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო-სამეწარმეო ცენტრების შექმნაში.

გ). საგანმანათლებლო-სამეცნიერო-საწარმოო კორპორატიული გაერთიანებების ორგანიზებაში, რომელიც მიიღწევა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოო ბაზის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის მწყობრი სისტემის შექმნით.

დ). რეკომენდაციების შემუშავებაში სტუ - სთვის მხარდამჭერი ისეთი სისტემის შესაქმნელად, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მუნიციპალური და საქმიანი წრეებისაგან საფინანსო და საინვესტიციო რესურსების აკუმულირება შემოსავლების მისაღებად, რაც წარიმართება სტუ - ს საწესდებო მიზნების აღსრულებისათვის.

ე). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ტექნიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან არსებული საექსპორტო ცენტრების მუშაობის კოორდინაციაში, დაკვეთების მოზიდვისა და შესრულების ხარისხის ამაღლების მიზნით.

ვ). სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტის მიერ შერჩეული პერსპექტიული სამეცნიერო პროექტების წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობების მოძიებაში.

2.13 სტუ-ში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დამუშავებული პროექტების მიხედვით კონკურენტუნარიანი მანქანების, დანადგარების, მოწყობილობების, სამარჯვების და სხვა პროდუქციის სათავო სამრეწველო ნიმუშების დამზადება და სერიული გამოშვების ორგანიზაცია.

3. სამსახურის სტრუქტურა.

31. სამსახურს ხელმძღვანელოს უფროსი.

3.2 სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს სამსახურის საქმიანობას, თანამშრომელთა მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს ხარისხიან, დროულ და სრული მოცულობით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

3.3 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ს წესდებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

3.5 სტუ-ს რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით სამსახური აქვს და იყენებს უგერბო ბეჭედს და ბლანკებს.

3.6. სამსახურში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-სწარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუ-ს სტრუქტურის შესაბამისად.

3.7. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

4.2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4.3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან სამსახსურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.